# განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №18 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება: საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №529 განკარგულებას ,,მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავროს 2024 წლის 12 მარტის №529 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ასევე ასახულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახის ცვლილებები.

,,მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის №529 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №529 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო დამატებით 10 000 (ათი ათასი) ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტ“-ში უნდა გაიზარდოს შემოსავლები, კერძოდ, გრანტები, აქედან, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (კოდი 1331112) 10 000(ათი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 01) სუბსიდიის მუხლი 10 000(ათი ათასი) ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მ/წლის 19 ნოემბრის №02-402432458 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ირკვევა, რომ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ’’-ში ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 02) ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 397 360 ლარით. პროგრამის ფარგლებში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, დაფინანსების მოთხოვნით დაკმაყოფილდა 1000 მოქალაქის განცხადება და გაეწიათ ფინანსური დახმარება. წლის ბოლომდე მოქალაქეთა დაფინანსების უწყვეტად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაიზარდოს შემდეგი პროგრამების წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები 156 100 ლარით, მათ შორის: ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 01) - 150 000 ლარით; ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06) - 1 500 ლარით; მედიკამენტოზური მკურნალობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03) - 5 000 ლარით და სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)- 100 ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/წლის 21 ნოემბერს №1-41243312 წერილიდან ირკვევა, რომ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნიათ შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლში არსებული ეკონომიის თანხა 100 000 (ასი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს სოციალური პროგრამები 100 000 (ასი ათასი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ ეტაპზე ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 100 000 (ასი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონალური და ამბულატორიული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამაში (პროგრამული კოდი 06 01 02) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 93400 (ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხასი) ლარით; ხანძრის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06) სხვა ხარჯების მუხლი 1 500 ლარით; მედიკამენტოზური მკურნალობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 5 000 ლარით და სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 100 ლარით.

ა(ა)იპ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის'' დირექტორის მ/წლის 19 ნოემბრის №02-402432458 წერილის საფუძველზე ირკვევა, რომ ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში დღეის მდგომარეობით სუბსიდიის მუხლში არსებული ეკონომიის თანხა, კერძოდ, ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები, ნარჩენების გატანის პროგრამაში (პროგრამული კოდი 03 01) სუბსიდიის მუხლი შემცირდეს 100 000 (ასი ათასი) ლარით (საწვავის თანხის ეკონომია) და ითხოვენ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტ''-ში დაბრუნებას.

ამასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/წლის 29 ნოემბრის №05-402433455 მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში დღეის მდგომარეობით აუთვისებელი თანხა შეადგენს 70 440 (სამოცდაათი ათას ოთხასორმოცი) ლარს, მათ შორის: მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის (პროგრამული კოდი 01 01 03) საქონელი დამომსახურეობის მუხლში 24 240 (ოცდაოთხი ასთას ორასორმოცი) ლარი; მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვის პროგრამაში (პროგრამული კოდი 01 02 03) პროცენტის მუხლში 24820 (ოცდაოთხი ათას რვაასოცი) ლარი და სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლში 1 380 (ერთი ათას სამასოთხმოცი) ლარი; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 09) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლში 20000 (ოცი ათასი) ლარი. ამდენად, მიზანშეწონილია შემცირდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის (პროგრამული კოდი 01 01 03) საქონელი და მომსახურეობის მუხლი 24240 (ოცდაოთხი ათას ორასორმოცი) ლარით, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვის (პროგრამული კოდი 01 02 03) პროცენტის მუხლი 24 820 (ოცდაოთხი ათას რვაასოცი) ლარით და სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლი 1380(ერთი ათას სამასოთხმოცი) ლარით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 02 09) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 20 000(ოცი ათასი) ლარით, სულ 70 440 (სამოცდაათი ათას ოთხასორმოცი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ ეტაპზე ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში შემცირდეს: ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები,

ნარჩენების გატანის პროგრამაში (პროგრამული კოდი 03 01) სუბსიდიის მუხლი - 100 000 (ასი ათასი) ლარით; მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის (პროგრამული კოდი 01 01 03) საქონელი და მომსახურეობის მუხლი - 24 240 (ოცდაოთხი ათას ორასორმოცი) ლარით; მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვის პროგრამაში (პროგრამული კოდი 01 02 03) პროცენტის მუხლი - 24820 (ოცდაოთხი ათას რვაასოცი) ლარით და სხვა მიმდინარე ხარჯების მუხლი 1 380 (ერთი ათას სამასოთხმოცი) ლარით; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 09) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი- 20 000(ოცი ათასი) ლარით, სულ 170 440 (ასსამოცდაათი ათას ოთხასორმოცი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს კეთილმოწყობის ღონისძიების პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 170 440 (ასსამოცდაათი ათას ოთხასორმოცი) ლარით (კრედიტორული დავალიანების დასაფინანსებლად).

ასევე, მიზანშეწონილია განხორციელდეს შემოსულობების გეგმაში ცვლილება, კერძოდ, შემცირდეს: საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 312 927 (სამასთორმეტი ათას ცხრაასოცდაშვიდი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე გადასახადი 35 277 (ოცდათხუთმეტი ათას ორასსამოცდაჩვიდმეტი) ლარით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 197650(ასოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარით (მათ შორის: ფიზიკური პირებიდან გადასახადი 95550 ლარით და იურიდიული პირებიდან გადასახადი 102 100 ლარით) და არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი 80 000(ოთხმოცი ათასი) ლარით (მათ შორის: იურიდიული პირებიდან გადასახადი 80000 ლარი) ლარით; აგრეთვე, შემცირდეს: დივიდენტი 60000(სამოცი ათასი) ლარით; დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი 80550(ოთხმოცი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარით, სულ 140 550 (ასორმოცი ათას ხუთასორმოცდაათი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: სანებართვო მოსაკრებლები 22 300 (ოცდაორი ათას სამასი) ლარით; მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისატვის 56990 (ორმოცდათექვსმეტი ათას ცხრრასოთხმოცდაათი) ლარით; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 10 800 (ათი ათას რვაასი) ლარით; დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარით და არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვიდან 18 460 (თვრამეტი ათას ოთხასსამოცი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №18 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია